ხელშეკრულება № 200
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 1 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხიდაშელის სახით და მეორეს მხრივ შპს „მოდული მნ“ წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ მექვაბიძეს (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „სI“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ თვითმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოყობის სამსახურისთვის გამოყოფილი სახსრებით გამოჩარხვის მომსახურების (CPV 98395000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

	დასახელება	CPV- კოდი	განზომილება	რაოდენობა	მთლიანი ღირებულება
1	ბულდოზერი კომაცუს შარნირის გაჩარხვა წრთობა-აწყობა (KOMATSU D65 EX-15)	98395000	ცალი	1	300

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 300 (სამასი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია : გორი, ცხინვალის გზატ; მე-3 კმ

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდალური დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით,

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების [illegible]

9.1 [illegible] მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღერული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღერას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 .იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს მექანიზაციის სამსახურის უფროსი - ალექსანდრე ლუკაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი
ა(ა)იპ თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	შპს „მოდული მნ"
ს/კ 417884622	ს/კ 417873787
ბანკი : „სახელმწიფო ხაზინა"	ბანკი : ვითიბი ბანკი ჯორჯია
ბანკის კოდი : TRESGE22	ბანკის კოდი : UGEBEGE22
ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა GE30VT0200000005053606
მისამართი: გორი, სოფელი ბერტყა	მისამართი : გორი, ცხინვალის გზატ; N8
დირექტორი გიორგი ხიდაშელი	დირექტორი წოდარ მექვაბიძე

№ 304

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქ.გორი

1 დეკემბერი 2016 წ.

ა(ა) იპ თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა (ს/კ 417884622) და შპს „მოდულ მნ“ (ს/კ 417873787) შორის 2016 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული №200 ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მექანიზაციის სამსახურის უფროსის - ალექსანდრე ლუკაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „მოდულ მნ“-ის დირექტორი ნოდარ მექვაბიძე (შემდგომში „მიმწოდებელი„), ვადგენთ ამ მიღება- ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა:

	დასახელება	CPV- კოდი	განზომილება	რაოდენობა	მთლიანი ღირებულება
1	ბულდოზერი კომაცუს შარნირის გაჩარხვა წრთობა-აწყობა (KOMATSU D65 EX-15)	98395000	ცალი	1	300

მომსახურების საერთო ღირებულებამ შეადგინა 300 (სამასი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

მიიღო :

ალექსანდრე ლუკაშვილი

ჩააბარა :

ნოდარ მექვაბიძე